



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080176379771719

№ 3019

15 / ივლისი / 2019 წ.

შპს „მადლი 2019“-ის შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი;

ტენდერის ნომერი: NAT190004213;

შესყიდვის ობიექტი: 45100000 – სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „მადლი 2019“ (ს/ნ: 442571637);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 7 ივნისს წარმოდგენილ იქნა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 7 ივნისის №02/8377 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №6099), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „მადლი 2019“-ის (ს/ნ: 442571637) მიერ NAT190004213 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2019 წლის 19 აპრილის № 06/31 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. მიმწოდებელს სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის vanomushkudiani59@gmail.com მეშვეობით, 2019 წლის 12 ივნისის № 2218 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, კერძოდ, მან 2019 წლის 1 მაისს დაიწყო მინის სამუშაოები, რის შემდეგაც სამუშაოები არ გაგრძელდებულა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა.

3. მიმწოდებლის პოზიცია

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2019 წლის 26 თებერვალს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა NAT190004213 ელექტრონული ტენდერი სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოების (CPV45100000) შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2019 წლის 15 აპრილის № 5 სხდომის ოქმით, ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „მადლი 2019“ (ს/ნ: 442571637) და მიწვეულ იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.3. 2019 წლის 19 აპრილს მხარეთა შორის გაფორმდა № 06/31 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად მიმწოდებელს უნდა შეესრულებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები 2019 წლის 29 მაისის ჩათვლით. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 31 275,9 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2019 წლის 31 დეკემბერი.

4.4. შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 6 მაისის № 02/6855 წერილის შესაბამისად, სამუშაოების მიმდინარეობიდან გამომდინარე, არსებობდა ეჭვი, რომ სამუშაოები ვერ დასრულდებოდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. აღნიშნულის შესაბამისად, ამავე წერილით, მიმწოდებელს ეთხოვა ვალდებულებების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში შესრულება.

4.5. შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 17 მაისის № 02/7444 წერილით, მიმწოდებელს მიეცა გაფრთხილება ვალდებულებების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში შესრულებასთან, პირგასამტეხლოს დაკისრებასთან და ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტასთან დაკავშირებით.

4.6. შემსყიდველი ორგანიზაციის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობა-რეაბილიტაციის მართვის განყოფილების უმცროსი სპეციალისტის სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ 2019 წლის 24 მაისის აქტის შესაბამისად, მიმწოდებელმა 2019 წლის 1 მაისს დაიწყო მინის სამუშაოები, რის შემდეგაც სამუშაოები არ გაგრძელებულა.

4.7. შემსყიდველი ორგანიზაციის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტრანსპორტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 27 მაისის №7942-02 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად, მიმწოდებელმა აწარმოა მინის სამუშაოები, რის შემდეგაც შეჩერდა სამუშაოების წარმოება, რამაც გამოიწვია გეგმა-გრაფიკის ორი პუნქტის დარღვევა. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის საკითხის განხილვა.

4.8. შემსყიდველი ორგანიზაციის სამუშაო ჯგუფის 2019 წლის 30 მაისის №21 ოქმის შესაბამისად, არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რის გამოც ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა. აღნიშნულის შესახებ, მიმწოდებელს ეცნობა შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 6 ივნისის №02/8367 წერილით.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „მადლი 2019“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. მოცემულ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, კერძოდ, მან 2019 წლის 1 მაისს დაიწყო მინის სამუშაოები, რის შემდეგაც, შემსყიდველი ორგანიზაციის არაერთი გაფრთხილების

მიუხედავად, სამუშაოები არ გაგრძელდება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა. ამდენად, არსებობს მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.


7.6. განსახილველ შემთხვევაში, სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი, რადგან მიმწოდებელმა დაიწყო მინის სამუშაოები, რის შემდეგაც, შემსყიდველი ორგანიზაციის არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, სამუშაოები არ გაგრძელდება, ხოლო შემსყიდველმა ორგანიზაციამ ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება (აგრეთვე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტი არ გაფორმებულა). შესაბამისად, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, შპს „მადლი 2019“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „მადლი 2019“ (ს/ნ: 442571637) 2019 წლის 16 ივლისს დარეგისტრირდეს შავ სიაში.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელემენტრულად 

ლევან რაზმაძე